

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №113
2021 წლის 19 მაისი

ქ. თბილისი

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„მიმდინარე კონტროლის პროცედურების ჩატარების, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ჩამოწერის, აღიარებული საგადასახადო დავალიანების დაფარვის, საგადასახადო დავალიანების გადახდევინების უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელების, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №994 ბრძანებით (სსმ III, 31.12.2010, №172, სარეგისტრაციო კოდი: 200090000.22.033.016105) დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნეს ცვლილება და 37²⁰ მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი მინაარსის 37²¹ მუხლი:

„მუხლი 37²¹. „გადასახადის გადამხდელის საინფორმაციო ბარათში“ ასახული მონაცემების სისწორის შესწავლის პროცესი

1. საგადასახადო ორგანო უფლებამოსილია, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 49¹ მუხლის შესაბამისად, ზოგადი ანალიტიკური პროცედურების ფარგლებში, განხორციელოს „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 11¹ მუხლით განსაზღვრულ „გადასახადის გადამხდელის საინფორმაციო ბარათში“ ასახული მონაცემების სისწორის შესწავლა და შესაბამისი ინფორმაციის ანალიზი.

2. „გადასახადის გადამხდელის საინფორმაციო ბარათში“ ასახული მონაცემების სისწორის შესწავლა შესაძლებელია განხორციელდეს გადასახადის გადამხდელთან კომუნიკაციით, რა დროსაც გადასახადის გადამხდელი ვალდებულია, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირის მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს მას ახსნა- განმარტება ან/და შესაბამისი დოკუმენტაცია.

3. საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი შესაბამისი მონაცემების შესწავლის პროცესში მიღებულ ინფორმაციას ასახავს შესაბამის პროგრამულ მოდულში.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი

